# community

The New Apostolic Church around the world

02/2024/GE

## ღმერთთან დიალოგში


რედაქციისგან
სწორი ლოცვის შესახებ

ღვთისმსახურება
ლოცვა მოქმედებს!

საეკლესიო მოძღვრება
ღვთის ხატები და
ჭეშმარიტი ღმერთი


New Apostolic Church
International

# სწორი ლოცვის შესახებ

ფოტო: საერთაშორისო ახალსამოციქულო ეკლესია

იესო შემდეგს შეგვპირდა: თუ ჩემი სახელით შეიკრიბებით და ჩემი სახელით ითხოვთ, მოგეცემათ კიდეც. ყოველ ჯერზე, როცა სალოცავად იესოს სახელით ვიკრიბებით, ის ჩვენს შორის არის და ჩვენთან ერთად ლოცულობს. როცა იესოს სახელით ვიკრიბებით და ღმერთს იმას ვთხოვთ, რასაც იესო სთხოვს ღმერთს ჩვენთვის, მაშინ იესო ჩვენთან ერთად ლოცულობს.

მაგრამ ჩვენც ის უნდა ვითხოვოთ, რასაც იესო ითხოვს. ე. ი., ვინც ასე ლოცულობს: „ღმერთო, მინდა, რომ ძალიან, ძალიან მდიდარი ვიყო“, მაშინ ნუ ექნება იმის მოლოდნი, რომ იესო მასთან ერთად ილოცებს, ვინაიდან იესომ სრულიად სხვა რამ თქვა ფულზე და მდიდრებზე. და თუ ასე ვილოცებ: „იესო, ჩემი მტერი უნდა დასაჯო“, ნუ მექნება იმის იმედი, რომ ისიც ჩემთან ერთად ილოცებს, რამეთუ ის არ ეთანხმება ჩემს თხოვნას. ასეთ ლოცვებს არ შეიწყნარებს იგი, ვინაიდან ისინი არ ემთხვევა იესოს ლოცვას.

რას ითხოვს იესო ჩვენთვის? იოან. 17, 24-ში ვკითხულობთ: „მამაო, მსურს, რომ სადაც მე ვარ, ისინიც ჩემთან იყვნენ, რომელნიც შენ მომეცი“. თუ გვინდა, რომ ჩვენი ლოცვები შეწყნარებულ იქნას, უნდა შევეცადოთ, რომ ღმერთს ის ვთხოვოთ, რასაც იესო სთხოვს მამას ჩვენთვის.

გულითადი მოკითხვებით თქვენი



ჟან-ლუკ შნაიდერი

ფოტო: შვეიცარიის ახსე

7 იანვარს, წლის დასაწყისში, პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა ბაზელში (შვეიცარია) ღვთისმსახურება ჩაატარა.

1. თეს. 5, 17

„ილოცეთ განუწყვეტლივ“

# ლოცვა მოქმედებს!

საყვარელო და-ძმანო, ეს, მართლაც, ძალიან კარგი დასაწყისია ახალი წლისათვის. ლოცვა, რომელიც ყველამ ერთად წარმოვთქვით, არის: „გვიჩვენე გზა დიდებისკენ.“ ცხოვრებაში ერთი მიზანი გვაქვს და ეს არის ზეციური დიდება. ჩვენი მიზანი მხოლოდ კეთილდღეობა, ბედნიერება და წარმატება არ არის. ჩვენ ბევრად უფრო დიდი მიზანი დავისახეთ. დიდებაში გვინდა შესვლა, ღმერთთან სრულ თანაზიარებაში. ეს არის ჩვენი გადაწყვეტილება და ეს არის და იქნება ჩვენი მიზანი ამ ახალ წელს. ჩვენი სურვილია რომ უფლის დღეს ღვთის სასუფეველში და ღმერთთან თანაზიარებაში შევიდეთ.

იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა არც ოცნებაა და არც ფანტაზია, ის შემთხვევითობა არ არის, არამედ ღვთიური ფაქტია, ის არც უბრალოდ დაპირებაა, რომელიც ვიღაცამ მოგვცა. როცა ღმერთი და სულიწმიდა უფლის დღეზე ლაპარაკობენ, ამ დროს ისეთი რამის აღწერა ხდება, რაც ღმერთს თვალწინ უდგას. ადამიანისათვის ეს ძნელი გასაგებია, მაგრამ ღვთისათვის მომავალიც აწმყოა და წარსულიც აწმყოა. მას ყველაფერი თვალწინ აქვს. ის არ არის დროზე მიჯაჭვული. როცა იესო ქრისტეს მეორედ მოსვლაზე გელაპარაკება იგი, ისეთ რამეს აღწერს, რასაც თავად უკვე ხედავს და რაც მისთვის უკვე მოხდა. ეს ნუგეშია ჩვენთვის. ეს არ არის ასეთი ბუნდოვანი დაპირება: ალბათ მოხდება ოდესმე. ზუსტი დრო არ ვიცით, მაგრამ ეს ნამდვილად მოხდება, ამაში აბსოლუტურად დარწმუნებულნი ვართ. აქედან მოდის ეს ლოცვაც: „გვიჩვენე გზა. როგორ მივიდეთ იქ? როგორ გავხდეთ მისი მონაწილენი?“ ამ ლოცვას სულიწმიდა ყოველთვის უპასუხებს. ის იესო ქრისტეზე მიუთითებს. იესო ქრისტეა გზა. თუ გინდა, რომ ღვთის სასუფეველში შეხვიდე, თუ გინდა, რომ იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის მონაწილე იყო, მაშინ იესო ქრისტეს გზა უნდა გაიარო. ეს გზა მისი მოძღვრება და მისი ცხოვრებაა. მიჰყევი მის მაგალითს და მის მოძღვრებას. ასე მეორედ მოსვლისათვის მომზადებას და ჩვენი მიზნის მიღწევას შევძლებთ. რაც არ უნდა მოხდეს დამდეგ წელს, მივიდეთ ღმერთთან და ვუთხრათ: „გვიჩვენე გზა.“ სულიწმიდა კი გვეტყვის: „უყურე იესო ქრისტეს. იმუშავე სახარებაზე და პრაქტიკულად განახორციელე იგი. ეს არის გზა.“

იესო ქრისტეს მოძღვრების არსებითი შემადგენელი ნაწილია ლოცვა. ილოცეთ ყოველ ჟამს, ილოცეთ განუწყვეტლივ. იესო ქრისტემ ეს არაერთხელ ახსნა, მაგ., ქვრივისა და მსაჯულის მაგალითზე, როცა ბოლო ჟამზე ლაპარაკობდა. ილოცეთ ყოველ ჟამს, ნუ მოუკლებთ ლოცვას. ეს ამ გზის ერთი ეტაპია. უფლის დღისათვის ლოცვა ჩვენი მომზადების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და ამიტომ წლევანდელი დევიზიც: „შენი ლოცვა მოქმედებს“. სულიწმიდა გამუდმებით გვიჩვენებს ამ გზას. ის უფრო მეტსაც აკეთებს: არა მარტო გზას გვიჩვენებს, არამედ ასეთ პირობასაც გვაძლევს: „არ იდარდო, ამ გზაზე მე სულ შენთან ვიქნები.“

პავლემ ეს სხვაგვარად წარმოადგინა. მან ილაპარაკა იესო ქრისტეზე, რომელიც ამჟამად ზეცაშია ღვთის ტახტთან და ჩვენ გვშუამდგომლობს. რაც არ უნდა მოხდეს, ის ჩვენს შუამავლად დარჩება. ჩვენი წარმოდგენით ეს ასე ხდება: ღვთის ძე მიდის მამასთან და ეუბნება: „შენ უნდა დაეხმარო ახლა ამ ადამიანს, გთხოვ, მიუტევე მას.“ ცოტა რთულია, რომ ასეთი მიდგომა სამერთობის ჩვენეულ გაგებას შევუსაბამოთ. წარმოვიდგინოთ, მამას რაღაცა აქვს განზრახული, იესო კი მიდის და ეუბნება: „არა, ეს არ გააკეთო, შეიწყალე იგი ან დაეხმარე.“ და შედეგად მამა თავის აზრს და განზრახვას იცვლის, რამეთუ იესომ სთხოვა ჩვენს გამო. ჩვენ ვიცით და გვწამს, რომ სამება - მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სულიწმიდა-ღმერთი - სრულიად ერთნი არიან. მაგრამ პავლეს ამით შემდეგის გამოხატვა სურდა: ღმერთი ყოველთვის მზად იქნება იმისათვის, რომ დაგეხმაროს და მოგიტევოს. როცა ის ამბობს, რომ იესო ქრისტე, ღვთის ძე, გვშუამდგომლობს, ეს სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ღმერთი წელსაც მზად იქნება, უპირობოდ დაგეხმაროს და მოგიტევოს. ის ყოველთვის მზად არის ამისათვის და შენს გვერდით არის. აი, ამას ნიშნავს ეს.

> ღმერთი წელსაც შენს გვერდით იქნება.

პავლემ ისიც თქვა, რომ სულიწმიდა ლოცულობს ჩვენთვის და გვშუამდგომლობს, როცა სიტყვებს ვერ ვპოულობთ. სულიწმიდა სამების ნაწილია. ეს სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ღმერთი ყოველთვის აღიქვამს ჩვენს სულიერ მისწრაფებას, ჩვენს ტკივილს და ჩვენს ტანჯვას მაშინაც კი, თუ სწორ სიტყვებს ვერ ვპოულობთ. შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ ღმერთი გიცნობს შენ, მას ესმის შენი ლოცვა, თუნდაც მხოლოდ კვნესა იყოს იგი. ის ღმერთამდე ყოველთვის მიდის. მას აინტერესებს შენი მდგომარეობა. მას ესმის ყოველი საწუხარი. მისთვის ნებისმიერი საზრუნავი მნიშვნელოვანია. ის ყოველთვის შენს გვერდით არის. ის არა მარტო გზას გვიჩვენებს, არამედ გვაიმედებს და გვპირდება: „ნუ დარდობ, მე ყოველთვის შენს გვერდით ვიქნები. მე აქ ვარ, რამეთუ დაგეხმარო, მოგიტევო და მოგისმინო.“

დავუბრუნდეთ ჩვენს დევიზს: „ილოცეთ მუდამჟამს“. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველ წუთს, მთელი დღისა და მთელი ღამის განმავლობაში უნდა ვილოცოთ. ამას ვერავინ შეძლებს. ყოველ შემთხვევაში მე ნამდვილად ვერა, შიგადაშიგ სხვა რამეც ხომ უნდა ვაკეთო. „ლოცვა მუდამჟამს“ ნიშნავს იმას, რომ ეს ნებისმიერ სიტუაციაში უნდა გავაკეთოთ. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ჩვენი ლოცვა ჩვენს სიტუაციაზე, ჩვენს მდგომარეობაზე, ჩვენს გაჭირვებაზე და შიშებზე არ არის დამოკიდებული, არც ჩვენი გარემოებით და სირთულეებით არის განპირობებული: ჩვენი ლოცვა ღმერთთან ჩვენი ურთიერთობის შედეგია. განსხვავება ამაშია.

ბევრი ადამიანი მაშინ ლოცულობს, როცა ცუდად გრძნობს თავს და ახსენდება, რომ არის ისეთი ვინმე, ვისთანაც დარეკვა შეიძლება. მუდამჟამს ლოცვა ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ლოცვა ღმერთთან ჩვენი ურთიერთობის შედეგია. ვლოცულობთ, რამეთუ გვწამს ღმერთის და ვიცით, რომ ყოვლისშემძლეა იგი. მისთვის შეუძლებელი არაფერია. ჩვენ გვწამს მისი სიყვარულის. მას ვუყვარვართ. გვჯერა, რომ გამოგვისყიდის და ამიტომაც ისევ და ისევ მივდივართ მასთან. მთელი გულით გვიყვარს ის და ვგრძნობთ, რომ მასთან ლაპარაკი, მასთან მისვლა გვწადია, ასევე მასთან თანაზიარება საუბარისა და ლოცვის დროს, და ეს იმიტომ, რომ უბრალოდ გვიყვარს იგი. ჩვენ გვჭირდება ეს კონტაქტი. ვილოცოთ მუდამჟამ, მიუხედავად არსებული სიტუაციისა, ვილოცოთ უბრალოდ მთელი გულით და მისადმი სიყვარულით. ეს არის ჩვენი ლოცვის საფუძველი.

ლოცვა მოქმედებს. ლოცვა ქმედითია. ამაზე მთელი წელი შეიძლება ვიფიქროთ. ამ თემაზე დეტალურად შეჩერება არ მინდა, მაგრამ, მოდით, ლოცვის სხვადასხვა ნაწილს გადავხედოთ და დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება, რომ ლოცვამ იმოქმედოს.

ლოცვის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია „თაყვანისცემა“. და-ძმანო, ვიცი, ეს ყოველთვის არ ყოფილა ჩვენი ტრადიციის ნაწილი. შემიძლია გავიხსენო, რომ ჩემს ახალგაზრდობაში ამას არ განიხილავდნენ. ეს მოგვიანებით მოხდა, პირველმოციქულ ფერისა და პირველმოციქულ

ლებერის დროს. მათ დაიწყეს ამაზე ლაპარაკი. ღმერთის თაყვანისცემა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია. მოდით, 2024 წელს ისევ გამოვნახოთ დრო ღვთისათვის მადლობის გადასახდელად და მის არსზე დასაფიქრებლად. ამას დროს სჭირდება და ადამიანი უნდა შეჩერდეს და უბრალოდ დაფიქრდეს: მაინც ვინ არის ღმერთი? ვიფიქროთ მის ყოვლისშემძლეობაზე. რას ნიშნავს ეს? ღმერთი შემოქმედია და ყოვლისშემძლე. ადვილია იმის თქმა, რომ ღმერთი სრულყოფილია, მაგრამ ღმერთის სრულყოფილებაში ბევრი რამ იმალება. ის არასოდეს უშვებს შეცდომას. რასაც აკეთებს, ყველაფერი სრულყოფილია. გამოსწორების საჭიროება არ არსებობს. რასაც ის ამბობს და აკეთებს, უბრალოდ ყოველთვის და სამუდამოდ სრულყოფილია: ღვთის ყოვლისშემძლეობა და სრულყოფილება, ღვთის დიდებულება, ღვთის სიყვარული. ის უბრალოდ ვიღაცა არ არის, რომელსაც ვუყვარვართ. ის თავად არის სიყვარული. მას არ შეუძლია არ უყვარდეს, ეს მისი ბუნებაა. მოდით, დრო და დრო ინტენსიურად ვიმუშაოთ ამაზე. მერე ეს თავის გავლენას მოახდენს ჩვენზე და ღმერთთან სწორ ურთიერთობაში დაგვეხმარება. სწორედ აქედან მოდის ღვთისმოშიშება და პატივისცემა. მივხვდებით, თუ რამდენად დიდია ღმერთი და რამდენად პატარები ვართ ჩვენ. ადამიანები, რომლებიც ასე ძლიერნი არიან და ასე ხმამაღლა ყვირიან, სინამდვილეში ძალიან პატარები არიან.

მეორე მხრივ, ნდობაც იზრდება. ღმერთი ყოვლისშემძლე და სრულყოფილია და მე მას ვუყვარვარ. ყველა მიზეზი მაქვს იმისათვის, რომ სრულად მივენდო მას. მხოლოდ „თაყვანისცემის“ ასპექტს შეუძლია განაპირობოს ჩვენში, ერთი მხრივ, თავმდაბლობა, ღვთისმოშიშება, პატივისცემა და, მეორე მხრივ, ნდობა და სანდოობა. ლოცვა მოქმედებს. თაყვანისცემა ჩვენთვის ქმედითია. ამ დროს რაღაც ხდება ჩვენს გულებში.

საყვარელო და-ძმანო, არ არის აუცილებელი, რომ ყოველ დღე გავაკეთოთ ეს, მაგრამ, მოდით, ყოველთვის გამოვნახოთ დრო ღმერთის თაყვანსაცემად და მის არსზე დასაფიქრებლად. ეს პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს ჩვენზე და იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მოსამზადებლად შესანიშნავი საშუალება იქნება იმათთვის, ვისაც უყვარს ღმერთი, ენდობა და რწმენით მისდევს მას.

ლოცვის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია „მადლობა“. მადლობის გადახდა ძალიან მნიშვნელოვანია. არ მინდა ახლა ზნეობრივი ქადაგება წაგიკითხოთ, მაგრამ იქნებ უფრო ინტენსიურად გადავუხადოთ მადლობა საყვარელ ღმერთს წელსაც და მუდამ გვახსოვდეს, თუ რა მოგვცა, რა გაგვიკეთა მან, რას გვიკეთებს და რას გაგვიკეთებს. ვიცი, ადამიანი იქითკენ არის მიდრეკილი, რომ პირველად ის დაინახოს, რაც არა აქვს, ან ჯერ არა აქვს, რაც აღარა აქვს და რაც აკლია.

როცა მსოფლიოს ირგვლივ ვმოგზაურობთ, ვხედავთ რომ უკმაყოფილება არ არის დამოკიდებული ადამიანის ფინანსურ მდგომარეობაზე. არის ხალხი, რომლებსაც ძალიან ბევრი აქვთ, მაგრამ გამუდმებით უკმაყოფილონი არიან. ვხვდები ადამიანებს, რომლებსაც არაფერი გააჩნიათ, მაგრამ ძალიან კმაყოფილები არიან. დასკვნა: უკმაყოფილებას არაფერი საერთო არა აქვს იმასთან, თუ რას ვფლობთ და რას არა. უკმაყოფილება ჩვენი გულისმიერი განწყობის შედეგია. არიან ადამიანები, რომლესაც დიდი ქონება აქვთ, მაგრამ არასოდეს არიან კმაყოფილნი. ეს რომ სულიერზე გადავიტანოთ, გეტყვით: იზრუნე იმაზე, რაც ღმერთმა გიბოძა.

თაყვანისცემა ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი ღვთისგან მოდის და, თუ ყველაფერი ღვთისგან მოდის, მაშინ ის ყველაფერიც, რაც მან მიბოძა, მისგან მოდის. მადლიერება ამის გამო გარკვეულ სიხარულს იწვევს ჩვენს გულში, რაც ამ ქვეყანაზე ასე იშვიათი გახდა. სიხარული კმაყოფილებას განაპირობებს და სულიერ წონასწორობასაც უზრუნველყოფს. ცხოვრებაში უფრო ძლიერები ვხდებით. მადლიერი უფრო ძლიერია, ვიდრე უმადური, მას უბრალოდ ვერავინ წააქცევს, ვინაიდან მას ყოველთვის ახსოვს ის, რაც ღმერთმა უკვე უბოძა. ის სტაბილურია ცხოვრებაში. მაშასადამე, მადლიერება საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს ჩვენზე და კურთხევად გვექცევა. მოდით, ამ წელსაც გამოვნახოთ დრო მადლიერებისათვის.

> მოდით, ყოველთვის გამოვნახოთ დრო ღმერთის თაყვანსაცემად.

ჩვენ თხოვნებითაც მივმართავთ ღმერთს. შესავალ საგალობელში ერთად ვიმღერეთ, რომ ღმერთთან მისვლა ლოცვით შეგვიძლია, რამეთუ ყველაფერი ვუთხრათ მას. ამაზე ბევრს ვფიქრობ. ხანდახან მაშინებს ის, რომ ცხოვრებაში ლოცვამ აქა თუ იქ მოიკლო და იმდენს აღარ ველაპარაკებით საყვარელ ღმერთს. არ არის აუცილებელი, რომ მუხლმოყრილებმა, საწოლის წინ ან საკურთხეველთან დაჩოქილებმა ვილოცოთ. ღმერთთან საუბარი გონებაშიც შეგვიძლია. და-

ძმანო, მოდით, გამოვიყენოთ ღმერთთან საუბრის ეს შესაძლებლობა. სოციალურ მედიაში იმდენს ლაპარაკობენ და წერენ ამაზე თუ იმაზე, მაგრამ როგორ არის საქმე ლოცვასთან, ღმერთთან დიალოგთან მიმართებაში? ძმაო, დაო, ღმერთთან ყოველთვის შეგიძლია მიხვიდე და აბსოლუტურად ყველაფერი უთხრა მას სირცხვილის, შიშის, მორიდების გარეშე. მასთან თავისუფლად შეგვიძლია ყველაფერზე საუბარი. გიხარია, განრისხებული ხარ თუ გაბრაზებული, როცა უკმაყოფილო ხარ, უბრალოდ მიდი ღმერთთან და მოახსენე მას ეს ყველაფერი გონებაში და ლოცვაში. „საყვარელო ღმერთო, არის ისეთი რამ, რაც მაწუხებს: ერთმა კაცმა ახლახანს ნერვები მომიშალა, შეურაცხყოფა მომაყენა, ეს უსამართლობაა“ - გულახდილად მოახსენე ეს ყოველივე ღმერთს. ეს მოქმედებს. შენი მეზობლისგან განსხვავებით, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში დრო არა აქვს შენს მოსასმენად და ხუთი წუთის მერე ამჩნევ, რომ სულაც არ აინტერესებს, რას ეუბნები, ღმერთს ყოველთვის აქვს შენთვის დრო. მას ყოველთვის აქვს დრო. ისეთი სასიამოვნოა ამის ცოდნა. ნებისმიერ წუთსა და საათს შეგიძლია მიმართო მას, სულერთია როდის, ღმერთს აქვს შენთვის დრო. ის მოგისმენს და გაგიგებს.

როცა თაყვანისცემა და მადლიერება ურთიერთქმედებაშია, მაშინ ასეთ ლოცვას თავისი შედეგები მოჰყვება. ჩვენ ველაპარაკებით ღმერთს, ყოვლისშემძლეს, სრულყოფილსა და მოსიყვარულეს, ვიცით რა, რომ მას ესმის ჩვენი და, ვინაიდან იგი ყოვლადძლიერი და სრულყოფილია, სიყვარულია და მხსენელია, ის სწორად მოიქცევა. დამეხმარება კიდეც. მან ჩემზე უკეთ იცის, თუ რა მჭირდება და რა სჯობია ჩემთვის.

თაყვანისცემა: უფალი მხსნელია. და მაინც რა სურს მას? როცა ბევრს ვფიქრობთ ამაზე და ჩვენს პრობლემებსა და გარემოებებს მოვახსენებთ მას, ვხვდებით,რომმისისურვილიჩვენიმასთანსაუკუნო ყოფნაა. იესო ქრისტეს სურს, რომ მეც იქ ვიყო, სადაც ის არის. რაც უფრო მეტს ვიმუშავებთ ამაზე, მით უფრო მივალთ ასეთ დასკვნამდე: ღმერთო, დაე, იყოს ნება შენი! ამას ბედს დამორჩილებულნი კი არ ვიტყვით, არამედ დარწმუნებულნი, აღფრთოვანებულნიც კი: „ღმერთო, დაე, იყოს ნება შენი! ვიცი, რაც გინდა: შენ ჩემი ხსნა გსურს. გინდა, რომ სამარადჟამოდ გამაბედნიერო. გსურს, რომ შენს სასუფეველში შემიყვანო, სადაც არ არის არც ტანჯვა, არც სიკვდილი და არც ტკივილი.“ მაშინ ლოცვა „დაე, იყოს ნება შენი“ ნუგეშისა და ძალის შესანიშნავი წყარო იქნება. თაყვანისცემისა და მადლიერების შემდეგ საყვარელ ღმერთს მივმართოთ და ვუთხრათ მას ყველაფერი, რაც არ არის კარგი და მივენდოთ მას, ამის მერე კი პასუხს სულიწმიდისგან მივიღებთ. იფიქრეთ იმაზე, ვინ არის ის და რა სურს მას - დაე, იყოს ნება მისი!

როცა იესო ქრისტე ამქვეყნად იყო, სრულიად დარწმუნებული იყო იმაში, რომ ღმერთი მას იმას მისცემდა, რასაც იგი მოსთხოვდა. მას ჰქონდა ეს შესანიშნავი უსაფრთხოების შეგრძნება და გარანტია: რასაც მოვთხოვ მამას, მომცემს. და ასეც მოხდა. და რატომ? ვინაიდან უფალი იესო ყოველთვის იმას ითხოვდა, რისი მიცემაც მამას მისთვის სურდა. ეს აზრი უბრალოდ ფანტასტიურად მიმაჩნია. ღმერთი ყოველთვის იწყნარებდა იესოს თხოვნას, რადგან იესო მისგან იმას ითხოვდა, რისი მიცემაც ღმერთს მისთვის სურდა. მოდით, ჩვენც ასე მოვიქცეთ. ღმერთს, პირველ რიგში, ვთხოვოთ ის, რისი მოცემაც მას ჩვენთვის სურს: ხსნა, გამოსყიდვა, კურთხევა. მაშინ დარწმუნებულნი ვიქნებით, რომ ის შეისმენს ჩვენს თხოვნას.

მაშ, მოდით, ღმერთთან ჩვენი თხოვნებით, საზრუნავით, შიშებითა და გასაჭირით მივიდეთ და თავისუფლად დაველაპარაკოთ მას ამის შესახებ. ამასთანავე, შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ დაგვეხმარება იგი, მისი დახმარება კი არის ყველაზე საუკეთესო, რისი მიღებაც კი ჩვენ შეგვიძლია.

ბოლო პუნქტი: შუამდგომლობა. ჩვენს დროში ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ბრმები არ ვართ. თუ ჩვენს ოჯახებს, ჩვენს თემებს და მსოფლიოს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ბევრი ადამიანი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ღვთისმსახურების წინ ძმებმა შემატყობინეს, რომ აქაც, თქვენს თემში და მხარეში, მძიმე შემთხვევები არსებობს და არიან და-ძმანი, რომლებიც დიდ გასაჭირში იმყოფებიან. მინდა გითხრათ, რომ ასეთი რამ, მართლაც, ყველგან ხდება, და ეს მე ძალიან მაწუხებს. არ შეიძლება უბრალოდ გულგრილად შევხედოთ ამას

და ვთქვათ, რომ ასეც ხდება. ჩვენ რისი გაკეთება შეგვიძლია? შეგვიძლია ვილოცოთ ოჯახებისათვის, ჩვენი თემებისათვის და ადამიანებისათვის. შუამდგომლობა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანია. ის იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის ჩვენი მომზადების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია. იესო იმათ წაიყვანს თან, ვინც მისდევს მას და მის ნებას ასრულებს. მისი ნება კი ასეთია: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. თუნდაც მარტო ამ ლოცვიდან მოდის შუამდგომლობის აუცილებლობა. ახლახანს ჩვენთვის ვილოცეთ, მაგრამ ჩვენი მოყვასიც ხომ გვიყვარს, როგორც საკუთარი თავი, მაშ, მისთვისაც ვილოცოთ. ისიც კარგად უნდა იყოს. როცა მისთვის ვლოცულობთ, მის კეთილდღეობას, მის საზრუნავს, მის შიშებსა და საჭიროებებს ვიზიარებთ. და რადგან გვიყვარს იგი, ვიზიარებთ ასევე მის ხვედრს და ღმერთთან მივდივართ, რათა მისთვის ვილოცოთ. ასეთი შუამდგომლობა მოქმედებს.

ისევ ისმის ასეთი ხმები: „კარგი, მაგრამ ყოველთვის არა... და მე ეს მესმის. საკმაოდ ხშირად და ბევრი მილოცია და-ძმებისთვის, მაგრამ ისინი მაინც გარდაცვლილან. საყვარელმა ღმერთმა არ გამოაჯანმრთელა ისინი. მაწუხებს ზოგიერთი ქვეყნის ბედი, უკვე ათწლეულებია მათი მშვიდობისათვის ვლოცულობ, თუმცა სიტუაცია სულ უფრო უარესდება. „ადამიანებს ძალიან უჭირთ და, ღმერთო, მოიმოქმედე რამე.“ მაგრამ არაფერი ხდება. ისინი შიმშილით იხოცებიან და ა.შ. მერე კი ასეთი აზრი მოგვდის: მართლაც, კარგია შუამდგომლობა, მაგრამ უსარგებლოა, არ მოქმედებს. ეს ადამიანის გამოცდილებისა და გონების შედეგია.

თაყვანისცემას დავუბრუნდები. როგორ ხდება ეს შენს წარმოგიდგენაში? მაგ., შენ ლოცულობ, თემიც ლოცულობს და, როცა თემი ლოცულობს, ღმერთიც მოიმოქმედებს რაღაცას. რას ნიშნავს ეს? იმას ხომ არა, რომ საყვარელ ღმერთს აქვს გეგმა, თუ რა უნდა მოხდეს, და ვინაიდან თქვენ მოხვედით და ლოცულობთ, მან აზრიც უნდა შეიცვალოს და დასახული გეგმაც? რთულია, როცა ასეთ რამესთან გვაქვს საქმე. ე.ი., იმის გამო, რომ ვლოცულობთ, ღმერთი გვეტყვის: „რამეთუ ახლა ყველა ლოცულობთ, მე მას დავეხმარები და სიტუაციას შევცვლი.“ მაშინ გამოდის, რომ მოყვასი ჩვენ უფრო გვიყვარს, ვიდრე ღმერთს, და რადგან ვლოცულობთ, ღმერთი აზრს შეიცვლის და სიკეთეს გაუკეთებს მას. გამოცდილება გვასწავლის, რომ შუამდგომლობა ყოველთვის არ შველის. გონება კი გვეუბნება: „შენი რწმენით ეს სრულიად შეუძლებელია.“ მაშინ გამოცდილებასა და გონებას უნდა ვუთხრათ: „მე რწმენით ვლოცულობ, მართალია, ვერ ვიგებ, რადგან ეს ჩემს გამოცდილებას ეწინააღმდეგება, მაგრამ მე მწამს.“ უფალი იესო, როცა ამქვეყნად იყო, ლოცულობდა ჩვენთვის. პირველი ქრისტიანები ერთმანეთისთვის ლოცულობდნენ. პავლე სულ იმეორებდა: „ილოცეთ ჩემთვის.“ ლოცვა რომ სრულიად უსარგებლო ყოფილიყო, მაშინ ბიბლიაში არ ეწერებოდა და უფალი იესო, პავლე, პეტრე და იერუსალიმის თემი არ ილოცებდნენ.

აი ამიტომ, შუამდგომლობა მოქმედებს! ეს ბიბლიაში წერია. უნდა ვილოცოთ მოყვასისათვის და ეს რწმენითა და ნდობით გავაკეთოთ; და ასე მაშინაც უნდა მოვიქცე, როცა ვერ ვიგებ, თუ როგორ

ფუნქციონირებსეს,მაშინაც,როცაჩემიგამოცდილება სხვა რამეს მკარნახობს. ვილოცოთ მოყვასისათვის. მოყვასისადმი ჩვენი სიყვარულიდან გამომდინარე იმის მოთხოვნილება გვაქვს, რომ ვილოცოთ მისთვის. ასეთი შუამდგომლობა, პირველ რიგში, ჩვენზევე ახდენს გავლენას. თუ დროს გამოვნახავთ და სხვა ადამიანით დავინტერესდებით, მაშინვე შევამჩნევთ, რომ ის ბევრად ცუდად არის, ვიდრე ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ ისიც იმსახურებს, იყოს ისევე კარგად, როგორც მე ვარ. ეს არ უნდა იყოს მორალის ქადაგება, მაგრამ, მოდით, დავფიქრდეთ ამაზე. როცა ჩვენს და-ძმებს ვუყურებთ ან საერთოდ ადამიანებს, ვასკვნით, რომ ისინიც ისეთივე კარგები არიან, როგორც ჩვენ, მაგრამ მათ ის არა აქვთ, რაც ჩვენ.

მაშინ მართლა მივხვდები, თუ რა არის მადლი და უფრო მადლიერი გავხდები და იმასაც დავინახავ, რომ მადლი საყვარელმა ღმერთმა მიბოძა. მე ის არ დამიმსახურებია. საერთოდ ვერ ვხვდები, რატომ მერგო ის მე და არა სხვას. საყვარელო ღმერთო, მადლობა! თავიდან ეს იმის უკეთ გაგებაში დაგვეხმარება, თუ რა არის მადლი. ღმერთისადმი თაყვანისცემითა და ნდობით ვილოცოთ. ღმერთი სიყვარულია და მას ისევე უყვარს ჩემი მოყვასი, როგორც მე ვუყვარვარ. მან იცის, რას აკეთებს იგი და დაეხმარება. ეს შემთხვევითობა ან ვარაუდი არ არის - არა, და ჩვენ ასეთ შემეცნებამდე მივდივართ: ღმერთი დაგვეხმარება! ეს ძალას გვანიჭებს. ჩვენ სრულიად ვენდობით ღმერთს. ის ჩემს მოყვასსაც დაეხმარება და, დაე, მისი ნება მოყვასისთვისაც აღსრულდეს. მერე კი იმასაც მივხვდებით, რომ ერთადერთი ხსნა მოყვასისა და თანამოძმეებისათვის უფლის მეორედ მოსვლა, ხსნა და ახალი შემოქმედებაა. რაც უფრო მეტად დავინტერესდებით იმით, თუ რა ხდება დედამიწაზე, მით უფრო მოგვემატება რწმენა. ერთადერთი გზა, ერთადერთი ხსნა, მართლაც, ხსნის ღვთიური გეგმაა: ღმერთი ადამიანებს ნამდვილად გამოისყიდის ამ ბოროტებისგან, ამ უკეთურებისგან. მაშინ სწორად გავიგებთ ხსნის ღვთიურ გეგმას და იმას, თუ რატომ აკეთებს იგი ყველაფერ ამას. ერთადერთი ხსნა ყოველი ადამიანისათვის ახალ შემოქმედებაში შესვლაა, ასევე ღმერთთან საუკუნო ცხოვრება. აქედან დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. შუამდგომლობის შედეგი ჩვენთვის შემდეგია: მადლიერება, მადლის უკეთ გაგება, ღვთისადმი ნდობა და ის, რომ ღმერთი დაგვეხმარება, და ხსნის ღვთიურ გეგმაზე ფოკუსირება.

შუამდგომლობა გვეხმარება, ის ჩვენს მოყვასსაც ეხმარება. ღმერთმა დაგვარწმუნა და პირობა მოგვცა, რომ ის შეისმენს ჩვენს ამ ლოცვებს. ის დაეხმარება ჩვენს მოყვასს. როცა ადამიანებმა იციან, რომ ჩვენ მათთვის ვლოცულობთ, ნუგეში ეფინებათ. ე. ი., არის ვიღაც, ვისაც აინტერესებს ისინი და იზიარებს მათ მდგომარეობას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან არც ისე ბევრი ადამიანია ამჟამად, ვინც ამას აკეთებს. ეს ნუგეშს აძლევს მას, ვინც იცის, რომ ვიღაც ლოცულობს მისთვის და მის საწუხარს იზიარებს. ნუგეში ნდობასაც ანმტკიცებს. ჩვენ ღმერთს ვართ მინდობილნი, ვიცით რა, რომ დაგვეხმარება იგი და განგვამტკიცებს მისადმი ნდობაში. მერე კი რაღაც მისტერიული ხდება. ამის ახსნა არ შემიძლია, მაგრამ ყოველ დღე განვიცდი ამას. ისეთი გრძნობა ჩნდება, თითქოს მლოცველი ხელები გატარებდნენ. მშვენიერი სურათია, მაგრამ ამის გონებით ახსნა შეუძლებელია. და თუ არის ვინმე, ვინც მსგავს რამეს განიცდის, ეს მე ვარ. ვიცი რომ ბევრი და-ძმა ლოცულობს ჩემთვის. არ ვიცი ვინ, არ ვიცი რამდენი, არ ვიცი სად - მხოლოდ ერთი რამ ვიცი: ვგრძნობ, რომ და-ძმების ლოცვები ზურგს მიმაგებს. ამას ვერ ავხსნი. ეს უბრალოდ ფაქტია. ბევრი და-ძმისგან, რომლებიც მძიმე სიტუაციებში იმყოფებიან, ვიცი, რომ ისინი გრძნობენ, თუ როგორ ეხმარება მათ და-ძმების ლოცვა, მათი მლოცველი ხელები. შუამდგომლობა მოქმედებს და ამას კიდევ ჩვენი იმის ღრმა რწმენა ემატება, რომ ღმერთი დაგვეხმარება.

თაყვანისცემა, მადლობა, თხოვნა, შუამდგომლობა მოქმედებს. მოდით, ინტენსიურად ვიმუშაოთ ამაზე და ერთად ვილოცოთ. როცა ერთად ვლოცულობთ, მაგ., „მამაო ჩვენოს“, ეს ეკლესიის ერთიანობას ანმტკიცებს. მოდით, ამაზე უფრო მეტად დავფიქრდეთ. როცა ერთად ვლოცულობთ, ეს იმას უსვამს ხაზს, რომ ყველა ერთად ღვთის წყალობაზე ვართ დამოკიდებულნი. ღმერთს ასე მივმართავთ: „იყავ მოწყალე ჩემს მიმართ“. ეს ანმტკიცებს ერთობას. მოდით, მომავალშიც უფრო მეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ ერთად ლოცვას. ლოცვა მოქმედებს. ამინ.

## ძირითადი აზრები

- სულიწმიდა ლოცვისკენ მოგვიწოდებს.
- უფალი ლოცულობს ჩვენთვის.
- იესოს სახელით ლოცვა ხელს უწყობს ჩვენს ხსნას.
- საერთო ლოცვა ეკლესიის ერთიანობას ანმტკიცებს.

# ამაგდარი ღვთისმსახური

საქართველოს ახალსამოციქულო ეკლესიამ დიდი დანაკარგი განიცადა. 2024 წლის 1 აპრილს, 82 წლის ასაკში, გარდაიცვალა სამხ. ხუცესი პენსიაში პეტრე უგრიმოვი. 26 წლის მანძილზე დაუღალავად ემსახურებოდა იგი ღვთის საქმეს საქართველოსა და აზრებაიჯანში. მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამოდენიმე წელია დამსახურებულ პენსიაში იმყოფებოდა, იგი მაინც აქტიურად საქმიანობდა ეკლესიის კეთილდღეობისათვის, ეხმარებოდა დამმებს; თავისი ცოდნითა და გამოცდილებით მხარში ედგა აქტიურ მღვდელმსახურებს და გერმანიიდან ჩამოსულ სასულიერო პირებს.

„სამხ. ხუცესი პეტრე ღმერთის გულითადი მსახური იყო. ის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც საქართველოში სული წმიდით აღიბეჭდა და ერთ-ერთი იმ პირველ შვიდ დიაკვანს შორის, რომლებიც მოციქულმა გუნთერ ჰომბურგმა 1997 წლის 11 მაისს ხელდასხმით აკურთხა. 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მსახურობდა იგი სხვადასხვა სასულიერო თანამდებობებზე და ასრულებდა სხვადასხვა დავალებებს, რამოდენიმე წელი სამხ. მახარებლად იმსახურა, თითქმის 13 წელი კი - სამხ. ხუცესად. მისი მსახურება განუყოფლად არის დაკავშირებული ღვთის საქმესთან საქართველოში. მან შექმნა ის, რაც მუდმივად დარჩება, საძირკველი ჩაუყარა ღვთის საქმეს ამ რეგიონში. ეს არასოდეს მიეცემა დავიწყებას.“ - ამ სიტყვებით მიუსამძირა გარდაცვლილის ოჯახს სამხ. მოციქულმა რაინერ შტორკმა.

ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.

სამხ. ხუცესი პეტრე უგრიმოვი

მოციქულმა ვოლფანგ შუგმა კი ასე დაახასიათა იგი: „პეტრე მისაბაძი მაგალითი იყო მღვდელმსახურთათვის: ერთგული, პატიოსანი, ძმური, საიმედო, თანამოაზრე, თავმდაბალი და შრომისმოყვარე. მისი თავდადება ღვთისა და მისი საქმისათვის, მისი მუდამ დამაჯერებელი ქცევა და ღვთისადმი ურყევი ნდობა სტანდარტად იქცა საქართველოსა და აზერბაიჯანის თემებისათვის. ღვთისადმი რწმენასა და ნდობას იგი ამიერიდან საიქიოშიც გააგრძელებს უღრუბლო სიხარულითა და შინაგანი მშვიდობით.“

სამხ. ხუცესი პეტრე უგრიმოვი ამ სიტყვებით გააცილეს სასუფეველში: „სადაც მე ვიქნები, იქვე იყოს ჩემი მსახურიც. ვინც მე მემსახურება, მას პატივს მიაგებს მამა (იოან. 12, 26).“

ასე დასრულდა მისი სულიერად მდიდარი და კურთხეული სიცოცხლე. მისი სახელი და მისი ღვაწლი საქართველოს ახალსამოციქულო ეკლესიისათვის დაუვიწყარი იქნება.

# ელია და ცარფათელი ქვრივი

3. მეფ. 17, 1-16-ის მიხედვით

ისრაელში გვალვა იდგა;
დიდი ხანია არ უწვიმია.
უდაბნოში ღმერთი
წინასწარმეტყველ ელიას
ყორნების დახმარებით
კვებავდა. მათ მიჰქონდათ
მისთვის პური და ხორცი.
წყალს იგი ხევიდან სვამდა.
მაგრამ ხევიც დაშრა.

ღმერთმა უბრძანა ელიას:
„ადექი და ცარფათში წადი და
იქ დარჩი. ცარფათში ერთი
ქვრივი ცხოვრობს და ის
მოგამარაგებს საჭმელით“.
და ელიაც ცარფათისკენ
გაუდგა გზას.
როცა ელია ქალაქის ჭიშკარს
მიადგა, დაინახა, რომ ერთი
ქალი იქვე შეშას აგროვებდა.
მან სთხოვა ქალს: „ცოტა
წყალი მომიტანე!“
ქალი წავიდა. ელიამ მიაძახა:
„ცოტა პურიც წამომიღე!“
ქალმა უთხრა: „პური აღარ
მაქვს, მხოლოდ ერთი მუჭა
ფქვილი და ცოტაოდენი



ზეთი შემომრჩა დოქში. სწორედ ახლა შეშა მოვაგროვე და მინდა, რომ ჩემთვის და ჩემი შვილისთვის ცოტა საჭმელი გავაკეთო იმისგან, რაც დამრჩა. მერე კი დავიხოცებით.“

ელიამ უთხრა: „ნუ გეშინია. წადი და როგორც თქვი, ისე მოიქეცი. ოღონდ ჯერ მე გამომიცხვე პატარა ხმიადი და მომიტანე; შენთვის და შენი შვილისთვის მერე გამოაცხობ. რადგან ასე ამბობს უფალი [...]: ‘ქოთანში ფქვილი არ გამოგელევა და დოქში ზეთი არ დაიკლებს, ვიდრე უფალი წვიმას არ მოიყვანს ამ ქვეყანაში.“

ქალი ისე მოიქცა, როგორც ელიამ უთხრა. და ელიას, ქვრივსა და მის შვილს ყოველ დღე ჰქონდათ საჭმელი. ვიდრე გვალვა არ გადავიდა, ქოთანში ფქვილი ყოველთვის იყო, დოქს კი ზეთი არ მოჰკლებია. ზუსტად ისე, როგორც უფალმა აღუთქვა მათ.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 10/ 2023 წ.; ილუსტრაციები: მირელა ფორტაღუნატი

# სტუმრად ედვინთან ვერვიში (ბელგია)

მე მქვია ედვინი და ვარ ხუთი წლის. ყველაზე უმცროსი ვარ ოჯახში. მყავს ორი და, რეგინა 15 წლისაა, ბრიზეტიკი - 14-ის, ჩემი ძმა ბენჟამინი 11 წლისაა. ჩვენ ვერვიში ვცხოვრობთ. ეს არის ქალაქი ვოლონსის რეგიონში, ბელგიის სამხრეთით. ბელგია ორენოვანი ქვეყანაა: ჩვენთან ლაპარაკობენ ფრანგულად და ბელგიის ჩრდილოეთით - ჰოლანდიურად.

მამაჩემი ბერნანდო მღვდელია და ვერვის თემის წინამძღვარი. დედაჩემს ლორეტი ჰქვია.

მას შემდეგ, რაც სამი წლის გავხდი, სკოლამდელ დაწესებულებაში დავდივარ. როცა იქ დავიწყეე სიარული, კოვიდის პირველი შემთხვევებიც გაჩნდა ევროპაში, ვერც ჩემი კლასი გადაურჩა ამ ვირუსს. გადადების მეც მეშინოდა, მაგრამ, ღმერთის შეწევნით, მთელი ჩემი ოჯახი უსაფრთხოდ გადაურჩა პანდემიას. ხშირად ვფიქრობთ იმ ოჯახებზე, რომლებმაც ახლობელი დაკარგეს ამ დროს, და ყველა იმათგანზე, ვისაც მძიმე შედეგები დაუტოვა ამ დაავადებამ.

ამასობაში სიმაღლეშიც გავიზარდე, როგორც მამაჩემთან ერთად გადაღებულ სურათზე ჩანს. სკოლამდელი დაწესებულება წარჩინებით დავამთავრე და ახლა იმ სკოლაში გადავდივარ, სადაც ჩემი ორი და სწავლობს. კითხვა უკვე შემიძლია და ვწერ კიდეც.

თავისუფალ დროს ფეხბურთის თამაში მიყვარს; ვერვის ბილმონტის სტადიონზეც ვარ ნამყოფი.

ჩემი საყვარელი საჭმელია მაკარონი ბოლენეზეს სოუსით, პიცა და ქათმის ნაგეტები, ასევე მაკაიაბუ, ეს დამარილებული თევზია.

ვერვიში, ჩვენს თემში, შესანიშნავი ბავშვთა გუნდი გვყავს. იქ სიმღერა დიდ სიხარულს მანიჭებს, გუნდის ყველა რეპეტიციას ვესწრები.



წყარო: ჟურნალი: ჩვენ ბავშვები. გამოვიმ. 10 /2023 წ; ფოტოები: ბორადი; ოლგა ლაბუსოვა; დენის რადერმეკერი; ევსტიგნეევა კრისტინა/ stock.adobe

ფოტოები: VectorMine/adobe.stock

# ღმერთი - როგორ ხედავენ მას ადამიანები და როგორია ის სინამდვილეში

**როგორ ხდება ეს? ძველ აღთქმაში ღმერთი მრისხანეა, ახალ აღთქმაში კი სიყვარულია. შეიცვალა არა მისი არსი და ბუნება, არამედ ის, თუ როგორ ხედავენ მას ადამიანები. მოცემულ მოძღვრებით წერილში პირველმოციქული სწორედ ამას განმარტავს.**

მოციქულების, როგორც „ღვთის საიდუმლოთა მნეების“ (1. კორ. 4, 1), დავალება იმაში მდგომარეობს, რომ მორწმუნეებს ღვთიურ გამოცხადებებზე მიუთითონ. თავისთავად ადამიანი ღმერთს ვერ შეიმეცნებს. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რაც მან თავად გვამცნო.

ღმერთი ადამიანს პროგრესულად ეცხადება. პირველად იგი როგორც შემოქმედი ისე გახდა ცნობილი, ხოლო მერე - როგორც ისრაელის ისტორიის უფალი. ღმერთის იესო ქრისტეში განკაცება ღმერთის გამოცხადებაა, რომელიც ყველა მანამდე არსებულს აჭარბებს. ორმოცდაათობაზე ღმერთმა სულიწმიდა მოავლინა, რამეთუ დამატებითი ცოდნა მიეცა ხალხისათვის თავად მის შესახებ და ხსნის ღვთიური გეგმის შესახებ. სულიწმიდა დღესაც მოქმედებს, განსაკუთრებით მოციქულობის მეშვეობით, კერძოდ, საიდუმლოთა სწორ მოფენაში და სიტყვის სწორ უწყებაში. ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს ღმერთი სრულყოფილად გამოეცხადება მათ, რომლებიც ზეცად იქნებიან ატაცებულნი: ისინი ღმერთს იხილავენ ისეთს, როგორიც არის (1. იოან. 3, 2).

წმიდა წერილში ღვთიურ გამოცხადებებზე სულიწმიდის მიერ შთაგონებული ადამიანები

მოწმობენ. ბიბლიური წიგნების ავტორები თავიანთ ენასა და ცოდნას იყენებენ იმის გადმოსაცემად, რაც სულიწმიდამ გაუცხადა მათ. ამასთან დაკავშირებით იმაზეც დავფიქრდეთ, რომ ბევრი ამ ტექსტთაგან იმ მოვლენებიდან დიდი ხნის შემდეგ დაიწერა, რომლებსაც ისინი ეყრდნობა.

შესაქმეს ისტორიები იმ ამბებიდან დიდი ხნის შემდეგ გაჩნდა, რომლებსაც ისინი გადმოგვცემენ, მაგ., როგორიცაა წარღვნის ისტორია. სახარებებიც იესო ქრისტეს აღდგომისა და ამაღლების მერე ათწლეულების შემდეგ დაიწერა (ლუკ. 1, 1-4; ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო, კატ. 1. 2. 4. 1).

ბიბლიის მკითხველს ღვთიური ნების ამოცნობა ადამიანის მიერ დაწერილ ტექსტებში მხოლოდ სულიწმიდის შეწევნით შეუძლია. წმიდა წერილის რწმენისათვის სავალდებულო განმარტება სულიწმიდის მიერ წარმართულ მოციქულებს ევალებათ, რამეთუ მოხდეს ღვთიური ნების შეცნობა და გაცხადება.

## ღმერთი ძველსა და ახალ აღთქმაში

ძველი აღთქმა ისრაელის ხალხის წმიდა წერილთა კრებულია. ფორმა, თუ როგორ აღწერენ მათი ავტორები ღმერთს, მათი ეპოქის კულტურულ და რელიგიურ გარემოს ასახავს. ისინი ღმერთს ხშირად ადამიანურ თვისებებს მიაწერენ. ღმერთი შეურაცხყოფილია - მისი პატივი და ღირსება შელახულია. ის განრისხებულია და სჯის. ის ნანობს - წუხს იმის გამო, რაც გააკეთა და გადაწყვეტილებას იღებს, სხვანაირად მოიქცეს.

ღმერთი გაუბრაზდა ადამსა და ევას. ის მათ სასჯელს უწესებს - იმისათვის, რომ საარსებო პური იშოვნოს, კაცი უნდა დაიტანჯოს, ქალიც უნდა დაიტანჯოს მშობიარობის დროს, კაცი ქალს უნდა დაეუფლოს, ხოლო ორივე სამოთხიდან უნდა იქნას გაძევებული. ადამიანის ბოროტებით განრისხებული ღმერთი მის შექმნას ნანობს და სურს, რომ ყველაფერი, რაც შექმნა, ადამიანები და ცხოველები, წარღვნით გაანადგუროს (დაბ. 6, 5-7). ყველა უბედურება, რაც ისრაელის ხალხს თავს დაატყდა, ხალხის დაუმორჩილებლობის გამო სასჯელად ითვლება. თუმცა თავისი ხალხის დასაცავად ღმერთს წარმოუდგენელი სისასტიკის გამოჩენა შეუძლია ისრაელის მტერთა წინააღმდეგ.

იესო ქრისტე ადამიანს ღმერთის ნამდვილ ბუნებას უცხადებს. ის სიყვარულის ღმერთზე ლაპარაკობს, რომელსაც ცოდვილის დასჯა კი არ უნდა, არამედ მისი გადარჩენა სურს. უბედურება, რაც ადამიანს ემართება, ღვთიური სასჯელი კი არ არის, არამედ ბოროტის ბატონობის შედეგი. იესო ქრისტე სრულყოფილია, უცოდველი, და მიუხედავად ამისა, ის, როგორც ყველაზე უკეთური ცოდვილი, როგორც დამნაშავე, ისე უნდა დატანჯულიყო და მომკვდარიყო.

## ძველი აღთქმა ახალი აღთქმის შუქზე

იესო ქრისტემ წმიდა წერილები, განსაკუთრებით თორა, წინასწარმეტყველებითი წიგნები და ფსალმუნები, საკუთარ პიროვნებასა და საქმეებთან მიმართებაში განმარტა. აქედან დასკვნა: ძველი აღთქმა ღვთის ძისგან გამომდინარე უნდა განვმარტოთ. ამასთან დაკავშირებით კატ. 1. 2. 5. 2 ნათქვამია: „ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს რწმენისა და მოძღვრებისათვის გამონათქვამებს, რომლებიც ძველი აღთქმის ცალკეულ წიგნებში და გვიანდელ წერილებში გვხვდება, განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ემთხვევა მათი შინაარსი იმას, რასაც სახარება ასწავლის.“

იესო ქრისტე ხაზგასმით ამბობს, რომ ღმერთს ცოდვილის დასჯა არ სურს. ამიტომაც დაბ. 3, 14-19-ს არ უნდა შევხედოთ, როგორც ღვთის მიერ სასურველ სასჯელს, ე. ი., ღმერთმა ადამსა და ევას ტანჯვა მხოლოდ იმიტომ მიუსაჯა, რომ შეცდომა დაუშვეს - კაცს შრომის დროს უნდა ეტანჯა, ხოლო ქალს მშობიარობის დროს და იმითაც, რომ მამაკაცის ბატონობის ქვეშ იქნებოდა. იესოს მოძღვრების შუქზე და სულიწმიდის წარმართვით გვჯერა, რომ ღმერთმა ადამსა და ევას მხოლოდ მათი ცოდვით დაცემის შედეგები აუწყა. აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ნებისმიერი ინიციატივა, რომლის მიზანიც შრომის შემსუბუქებაა, ღვთის საწინააღმდეგო იქნებოდა! გზავნილი, რომელსაც ამ ცნობიდან ვაყალიბებთ, არის ის, რომ ღმერთს ადამიანი მისი მცდარი საქციელის მიუხედავად მაინც უყვარდა და მხსნელის მოვლინებაც აღუთქვა მას.

გადავიდეთ წარღვნაზე. როგორ შეეძლო ღმერთს, რომელიც ყოვლისმცოდნე და სრულყოფილია, ადამიანის შექმნა ენანა, ვინაიდან - დაბ. 6, 5-ის თანახმად - მათი უკეთურება „დაინახა“? როგორ უნდა აღეკვეთა ცოდვა ადამიანების უმრავლესობის განადგურებით, როცა მან ნოეს და მის ნათესავებს, რომლებიც დაბადებიდან ცოდვილები იყვნენ, გადარჩენის შესაძლებლობა მისცა? სულიწმიდა გვასწავლის, რომ წარღვნის ისტორიას

მსხვერპლი), ომის წეს-ჩვეულებებს (ტყვის გასანთავისუფლებლად გამოსასყიდის გადახდა იყო აუცილებელი) და სისხლის სამართალს (ვალი უნდა გადახდილიყო).

ამ სიტყვების პირდაპირი განმარტებით ღმერთის ხატი იგივე იქნებოდა, რაც ძველ აღთქმაში. ღმერთი ისე იქცევა როგორც ადამიანი, რომლის პატივი და ღირსება შელახეს. ის დასჯას ან კომპენსაციას ითხოვს. სამართლიანობის გამო ვიღაც უნდა მოკვდეს. იესო ქრისტეა ის, ვინც ჩვენს გამო დაისაჯა.

განთავისუფლების კუთხით უნდა შევხედოთ და არა დასჯის ( 1. პეტ. 3, 18-22). ღმერთს უყვარს ადამიანი, ის მას იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ ღვთისადმი მორჩილებით გადარჩეს. იგივე დასკვნა მიესადაგება ისრაელის ხალხის მთელ ისტორიას.

ძველ აღთქმაში გამოსყიდვა მორჩილებით იყო განპირობებული, რაც რჯულის მკაცრ დაცვას გულისხმობდა. იესო ქრისტემ დაგვანახა, თუ რა არის ნამდვილი მორჩილება. ღმერთს სურს, რომ გვწამდეს იესო ქრისტესი და გვიყვარდეს ღმერთი და მოყვასი.

## ახალი აღთქმა სულიწმიდის შუქზე

ძველი აღთქმის წერილების მსგავსად ახალი აღთქმის წერილებიც იმ ადამიანების მიერ იქნა დაწერილი, რომლებიც თავიანთ ეპოქაზე იყვნენ მიჯაჭვული. სულიწმიდით შთაგონებულნი იესოს მოღვაწეობის გადმოსაცემად და სულიწმიდის გამოცხადებების ჩასაწერად თავიანთ სიტყვებსა და ცოდნას იყენებდნენ. ისინი ადრესატების კულტურასაც ითვალისწინებდნენ, რამეთუ დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ, რომ გასაგები იქნებოდა მათთვის. ახალი აღთქმის წერილების გზავნილი ყოველთვის ერთი და იგივეა, მაგრამ გადმოცემის ფორმა იმის მიხედვით ვარირებს, თუ ვინ არის ავტორი და ვინ არის მიმღები.

ეს განსაკუთრებით ეხება გადმოცემის იმ ფორმას, სადაც იესო ქრისტეს სიკვდილზეა ლაპარაკი. მისი მსხვერპლის მნიშვნელობის ასახსნელად, რომელსაც ხსნა მოაქვს, ბიბლიის ავტორები მონაცვლეობით ახსენებდნენ ძველი აღთქმის მსხვერპლშეწირვის კულტს (აღსავლენი

იესო ქრისტეს სიკვდილთან დაკავშირებული ეს თვალსაზრისი დღეს რთული გასაგებია, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის. საბედნიეროდ, სულიწმიდა გვაძლევს შესაძლებლობას, ვილაპარაკოთ იესოს სიკვდილზე ისე, რომ მაინცდამაინც ხაზი არ გავუსვათ დასჯის იდეას.

იესო ქრისტეს მსხვერპლი, უპ. ყოვლისა, სიყვარულის აქტია (იოან. 3, 16). ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანი ღვთისგან სიშორეში ცხოვრობს. მისი ტანჯვანი ღვთისგან დაკისრებული სასჯელი კი არ არის, არამედ ღმერთთან სიშორის შედეგია. ღმერთს არასდროს შეუწყვეტია ადამიანის სიყვარული. პირიქით, იმის საჩვენებლად, რომ ის მასთან არის დაკავშირებული, გადაწყვიტა განკაცებულიყო, დატანჯულიყო და მომკვდარიყო. შორს იქიდან, რომ დასაჯოს იგი, ღმერთი მხარში უდგას ადამიანს ტანჯვაში, სიკვდილში და განსვენებულთა საუფლოშიც კი. მან ისიც დაითმინა, რომ ყველაზე უკეთურ დამნაშავესავით მოქცეოდნენ, რამეთუ ეჩვენებინა, რომ ყველა ცოდვილი უყვარს - გამონაკლისის გარეშე.

ღმერთს სიყვარულით სურს ადამიანის თავისთან თანაზიარებაში შეყვანა. ადამიანი კი მასთან თანაზიარებაში ყოფნას მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუ მისი ნება სრულად შეესატყვისება ღვთის ნებას. როგორც კაცი, იესო უცოდველი დარჩა. მართალია, ბოროტი ძალები მძვინვარებდნენ მის წინააღმდეგ, მაგრამ მან შეძლო გამკლავებოდა ცდუნებებს, შეენარჩუნებინა ღვთისადმი ნდობა და მტკიცე დარჩენილიყო მის სიყვარულში. მისმა სრულყოფილებამ მას, როგორც ჭეშმარიტ კაცს - და არა მხოლოდ როგორც ძე-ღმერთს -, შესაძლებლობა

მისცა ღმერთთან, მამასთან და სულიწმიდასთან, თანაზიარებაში შესულიყო. სხვა ვერც ერთი ადამიანი ვერ მიაღწევს მის სრულყოფილებას. მაგრამ, სიყვარულიდან გამომდინარე, იესო ქრისტე მზად არის, თავისი გამარჯვება და დამსახურება მის მორწმუნეთ და მიმდევრებს გაუზიაროს. ასეთი გზავნილი გულს სწვდება!

## იოანეს გამოცხადების განმარტება მოციქულთა მიერ

თუ იოანეს გამოცხადებას ზედაპირულად გადავხედავთ, ვნახავთ, რომ იგი ქვეყნის დასასრულზე, ღმერთის მრისხანებასა და უკეთურთა დასჯაზე ლაპარაკობს. სულიწმიდა კი გვეუბნება, რომ ის, უპ. ყოვლისა, ქრისტეს მიერ ბოროტზე გამარჯვებას და ადამიანის მიმართ მის უპირობო სიყვარულს ეხება.

იოანეს გამოცხადება ხსნის გეგმის მომავალ მსვლელობასთან დაკავშირებულ იესოს გამოცხადებებს იშველიებს და უფრო ავითარებს მათ. იესო ქრისტემ თავად იუწყა მისი მეორედ მოსვლა. პავლე მოციქულს მან მისი მეორედ მოსვლის თანმდევი მოვლენები დაანახა (1. თეს. 4, 15-17; 1. კორ. 15, 51. 52). სულიწმიდის ხელმძღვანელობით მოციქულებმა ხსნის გეგმის სხვადასხვა ეტაპები დაასახელეს: პირველი აღდგომა, ათასწლიანი მშვიდობის სამეფო, უკანასკნელი სამსჯავრო, ახალი შემოქმედება.

მოციქულთა ამოცანა მორწმუნეთა უფლის მეორედ მოსვლისათვის მომზადებაში მდგომარეობს. ისინი, ვისაც მიიღებენ, მის სასუფეველში პირმშოებად შევლენ. მაგრამ რა მოუვათ სხვებს? მაგ., იმათ, ვისაც არასოდეს გაუგია იესოს შესახებ? შეძლებენ კი ისინი გადარჩენას იესოს მიმდევრობის გარეშე? ღვთიური სიყვარული მიზნად ისახავს იმას, რომ ყველა ადამიანს მიესვლებოდეს მის სასუფეველში. ღვთიური სიმართლის მიზანი კი ის არის, რომ ამის მისაღწევად ყველა ადამიანმა ერთი და იგივე გზა გაიაროს: მამასთან მხოლოდ იესო ქრისტეს მეშვეობით შეიძლება მივიდეს კაცი (იოან. 14, 6). ამიტომაც ყველა უნდა იცნობდეს იესო ქრისტეს და მისი მიმდევრობა გადაწყვიტოს. ამ მიზნით იესო ქრისტე მშვიდობის სამეფოს აღმართავს დედამიწაზე. ღმერთი ხსნის გეგმას მხოლოდ მაშინ დაასრულებს, როცა ყველა თავისუფალ არჩევანს გააკეთებს იესოს სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ.

ეს არის ახალსამოციქულო მოძღვრების განსაკუთრებული მხარე - ბევრი ეკლესია ვარაუდობს, რომ იესოს მეორედ მოსვლას უკანასკნელი სამსჯავრო მოჰყვება. სამწუხაროა, რადგან მათ მხედველობიდან რჩებათ ხსნის გეგმის ის მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც, როგორც ღვთიურ სიყვარულზე, ასევე ღვთიურ სიმართლეზე მოწმობს. გვახარებს ის ფაქტი, რომ სხვა კონფესიების ქრისტიანებთანაც შეგვიძლია ქრისტეს სახარების გაზიარება და სიამოვნებით ვმუშაობთ მათთან ერთად მის გასავრცელებლად. მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვრჩებით ჩვენს მოძღვრებაზე, როგორც მასზე კატეხიზმო მოწმობს, ვინაიდან დარწმუნებულნი ვართ, რომ ის მოციქულებს სულიწმიდამ გამოუცხადა.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

სამხ. მოციქულები სამხ. მოციქულთა კრებაზე კეიპტაუნში (სამხრ. აფრიკა) 2023 წლის სულთმოფენობაზე

ფოტო: სამხრეთ აფრიკის ახსე

# ეკლესიის ხელმძღვანელობა თაობათა ცვლის პირობებში

ახალსამოციქულო სამხ. ეკლესიათა სათავეში თაობათა ცვლა დაიწყო: 2023 წელს ორ სასულიერო პირს სამხ. მოციქულის თანაშემწეობა დაევალა, ერთიც თანაშემწედ დაინიშნა - ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდა.

სამხ. მოციქულის თანაშემწეების მომატებული დანიშვნა გამოკვეთილი სტრატეგიის შედეგია: სამხ. მოციქულთა მიმართ მოთხოვნები საკმაოდ გაიზარდა, განსაკუთრებით იმ მსოფლიოში, რომელიც სულ უფრო რთულდება, თქვა პირველმოციქულმა. ამიტომაც ხელმძღვანელი პირები ცივ წყალში არ უნდა გადავაგდოთ და ვუყუროთ, თუ როგორ გამოცურავენ იქიდან. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ მომავალ სამხ. მოციქულებს მიეცეთ შანსი, შევიდნენ საქმის კურსში, გაეცნონ თავიანთ სამოღვაწეო მხარეს და ადამიანებს, ასევე მიიღონ პირველი გამოცდილება, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ სამხ. მოციქულთა კრებაზე.

## ჩრდილო და ცენტრალური ამერიკა

რწმენის კაცი და სიყვარულის კაცი, ბრძენი წინამძღოლი და მამაცი ლიდერი - და უპ. ყოვლისა, ნამდვილი მეგობარი: ასეთი სიტყვებით შეამკო აშშ-ს სამხ. მოციქული ლეონარდ. რ. კოლბი პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა. სექტემბრის ბოლოს, 67 წლის ასაკში და 50 წლის სასულიერო მოღვაწეობის შემდეგ, იგი დამსახურებულ პენსიაში გავიდა.

მისი სამოღვაწეო მხარე მოიცავდა აშშ-ს, ბაჰამის კუნძულებს, ბარბადოსს, ბელიზს, ბერმუდის კუნძულებს, კაიმანის კუნძულებს, კოლუმბიას, კოსტა რიკას, დომინიკს, დომინიკის რესპუბლიკას, ეკვადორს, ელ- სალვადორს, გვატემალას, გვიანას, ჰაიტის, ჰონდურასს, იამაიკას, მექსიკას, ნიკარაგუას, პანამას, პერუს, სენტ-კიტსა და ნევისს, სენტ-ლუსიას, სენტ-ვინსენტსა და გრენადინებს, ტრინიდადსა და ტობაგოს, ასევე ვენესუელას.

ამ ქვეყნებზე პასუხისმგებლობა ახლა ჯონ შნაბელს დაეკისრა. მანამდე სამხ. მოციქულის თანაშემწეს იმავე ღვთისმსახურებაზე სამხ. მოციქულობა დაევალა. 59 წლის ჯ. შნაბელი ნიუ-იორკის გარეთ ცხოვრობს, ჰყავს ოთხი შვილი და ოთხი შვილიშვილი და პროფესიით ინვესტიციების მენეჯერი იყო. მშობლიური ენის, ინგლისურის, გარდა ის ესპანურადაც ფლობს.

## აფრიკის სამხრეთით

სიბრძნის, სიყვარულისა და სიმტკიცის, ძლიერი

რწმენისა და ღვთისადმი უზომო ნდობის, ასევე გადამდები სიხარულისა და ენთუზიაზმის ნაზავით გაჯერებული წინამძღოლობის ძალა: ამ „თაიგულით“ შეამკო პირველმოციქულმა სამხრეთ აფრიკელი სამხ. მოციქული ჯონ. ლ. კრილი. დეკემბრის დასაწყისში საერთაშორისო ეკლესიის მეთაურმა 67 წლის სამხ. მოციქული დამსახურებულ პენსიაზე გაუშვა, მან 46 წელი სხვადასხვა სასულიერო თანამდებობაზე იმსახურა.

ის კურირებდა სამხრ. აფრიკას, ბოტსვანას, ფოლკლენდის კუნძულებს, ლესოტოს, მადაგასკარს, მავრიკიას, მაიოტს, მოზამბიკს, ნამიბიას, რეუნიონს, სეიშელს, წმ. ელენასა და სვაზილენდს. ამჟამად ეს ქვეყნები პეტერ ლამბერტის სამოღვაწეო მხარეს წარმოადგენს, რომელიც იმავე ღვთისმსახურებაზე სამხ. მოციქულად დაინიშნა. 59 წლის პ. ლამბერტს სამხ. ეკლესიის მიღმაც კარგად იცნობენ. 1989 წლიდან 2017 წლამდე იგი კეიპტაუნის და სამხრ. აფრიკის სამხ. ეკლესიების მუსიკალური მენეჯერი იყო და წერდა სიმღერებს საგალობელთა კრებულისათვის და საგუნდო ალბომისათვის.

## ახალ წელს

ახალსამოციქულო სამხარეო ეკლესიების სათავეში უკვე შემდეგი ცვლილებები იკვეთება:

ამდენად, თომას დოიბელი 2023 წლის სექტემბერში სამხ. მოციქულის თანაშემწედ დაინიშნა. 2024 წლის მეორე ნახევარში იგი შვეიცარიელი სამხ. მოციქულის იურგ ცბინდენის საქმეს გააგრძელებს. შვეიცარიის გარდა მისი პასუხისმგებლობის ქვეშ იქნება ასევე ბულგარეთი, გიბრალტარი, იტალია, კუბა, მოლდავეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და ავსტრია.

ჯერ კიდევ 2022 წლის დეკემბერში შტეფან პიოშელი დასავლეთ გერმანიის მხარის სამხ. მოციქულის თანაშემწედ დაინიშნა. ამ მხარის ხელმძღვანელობა მან 2024 წლის ივნისში სამხ. მოციქულ შტორკისგან უნდა გადაიბაროს. ამ მხარეში შედის ალბანეთი, ალჟირი, ანგოლა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელგია, ბურკინა-ფასო, საფრანგეთი, საფრანგეთის გვიანა, საფრანგეთის პოლინეზია, გამბია, საქართველო, საბერძნეთი, გვადალუპე, გვინეა-ბისაუ, ირანი, იორდანია, კაბო-ვერდე, კოსოვო, ლატვია, ლიბანი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალი, მალტა, მაროკო, მარტინიკა, მავრიტანია, ახალი კალედონია, ნიდერლანდები, ნიდერლანდების ანტილები, ნიგერი, აღმოსავლეთ ტიმორი, პორტუგალია, სენეგალი, სურინამი, სირია, სან ტომე და პრინსიპი, ტუნისი, თურქეთი, კვიპროსი და ეგვიპტე.

## ცვლილებები მოციქულთა წრეში

გასულ წელს 30 მოციქულის ორდინაცია ჩატარდა, 24 მოციქული კი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. აქ მოცემულია 2023 წლის მეორე ნახევრის მოციქულთა ყველა ორდინაცია:

2 ივლისის ღვთისმსახურებაზე ლუანდაში (ანგოლა) პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა მანამდე ეპისკოპოსი რიკარდო კიაკუ სიმაო (1987 წ.) მოციქულად აკურთხა. 16 ივლისს კინშასაში ჩატარებულ ღვთისმსახურებაზე (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა) სამმა სასულიერო პირმა მიიღო მოციქულის სასულიერო თანამდებობა: მღვდელმა გირესე მატა მანზალამ (1984 წ.), მღვდელმა როჯერ ნზამბივისი ნდონგამ (1972 წ.) და მწყემსმა ჰენრი ცეტშე ნგოი ნგოიმ (1974 წ.). სამივე სამხ. მოციქული მიხაელ დეპნერის სამოღვაწეო მხარეში მოღვაწეობს. ნოიკირხენში (გერმანია) პირველმოციქულმა 30 ივლისს მანამდე სამხ. მახარებელი კარსტენ დენკერი (1972 წ.) აკურთხა მოციქულად. ის დასავლეთ გერმანიის სამხ. ეკლესიაში მოღვაწეობს. სამხ. მოციქულის თანაშემწის თომას დოიბელის სამოღვაწეო მხარეს გადაიბარებს რეტო კელერი (1965 წ.). მანამდე ეპისკოპოსი რ. კელერი 17 სექტემბრის ღვთისმსახურებაზე აკურთხეს მოციქულად.

15 ოქტომბერს ბუენოს-აირესში (არგენტინა) პირველმოციქულმა სამხ. მახარებელი პედრო რამისი (1973 წ.) და მწყემსი ომარ პაბლო პინეირო (1969 წ.) მოციქულებად აკურთხა. ასევე 29 ოქტომბერს ორი ახალი მოციქული შეიძინა სამხ. მოციქულ რაინერ შტორკის სამოღვაწეო მხარემ: ეპისკოპოსები რენე ფოლმანი (1978 წ.) და გერდ-გიუნტერ კისელბახი (1970 წ.) ბად-ზასენდორფში (გერმანია) ღვთისმსახურებაზე მოციქულებად იქნენ ორდინირებულნი.

ფოტო: შვეიცარიის ახსე

# პროგრამა

| | |
|---|---|
| 04.04.2024 წ. | ბუენოს-აირესი (არგენტინა) |
| 05.04.2024 წ. | ბუენოს-აირესი (არგენტინა) |
| 07.04.2024 წ. | მონტევიდეო (ურუგვაი) |
| 03.05.2024 წ. | კუანდო კუბანგო (ანგოლა) |
| 05.05.2024 წ. | ლუანდა (ანგოლა) |
| 12.05.2024 წ. | ბორკუმი (გერმანია) |
| 19.05.2024 წ. | ლუცერნი (შვეიცარია) |
| 31.05.2024 წ. | დილი (აღმოსავლეთ ტიმორი) |
| 02.06.2024 წ. | დილი (აღმოსავლეთ ტიმორი) |
| 04.06.2024 წ. | დენპასარი (ინდონეზია) |
| 07.06.2024 წ. | პაპუა-ახალი გვინეა |
| 09.06.2024 წ. | პაპუა-ახალი გვინეა |
| 23.06.2024 წ. | ქვემო რაინი (გერმანია) |
| 28.06.2024 წ. | ჰარარე (ზიმბაბვე) |
| 30.06.2024 წ. | მზუზუ (მალავი) |

New Apostolic Church
International